დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის "დინამოს" სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა გამოტოვებული კალენდარული მატჩი ადგილობრივ "დინამოსა" და ლენინგრადის "ზენიტს" შორის.

მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით - 1:0. გოლი გაიტანა მუჯირმა.

დინამოელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ შემდეგი ფეხბურთელები: გაბელია (აბუსერიძე), ანდღულაძე, ჩივაძე (არზიანი), ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია (დოჩია), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი (მიქაბერიძე), ჯოხაძე (ფრიდონიშვილი), შენგელია (გურული).

"ლელო", 4 სექტემბერი, 1982 წ.